

გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თავისებურებები
ოჯახში ძალადობის საქმეებზე



ორხან ალიევი

*სამგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აღნიშნული ნაშრომი, როგორც ჩემი ორიგინალური ნამუშევარი, აგრეთვე წარდგენილი და გამოყენებულია საგან „აკადემიური წერა იურისტებისთვის“, ფარგლებში.

ორხან ალიევი

19.06.2022 წელი

აბსტრაქტი

საქართველოში წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული სამართლებრივი პოლიტიკა. შედეგად, დღესდღეობით, ქვეყანაში აქტიურად მუშაობენ რიგი სახელმწიფო ორგანოები, რომელთა უმთავრესი დანიშნულებაც მოქალაქეთა სიცოცხლისა და უსაფრთხოების დაცვაა, განსაკუთრებით მაშინ, თუ სახეზე ოჯახში ძალადობის ფაქტია. ოჯახში ძალადობა განსხვავდება სხვა დანაშაულებისაგან თავისი სენსიტიურობით, იქიდან გამომდინარე, რომ მოძალადეც და მსხვერპლიც ერთი ოჯახის წევრები არიან.

აღნიშნული კვლევითი ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს ოჯახში ძალადობის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების, ის რიგი თავისებურებანი, რაც არსებობს როგორც კანონმდებლობის ასევე პრაქტიკის დონეზე. კვლევის მიზანია, რომ მკითხველმა სწორად აღიქვას თუ რას არის ოჯახში ძალადობა და რატომ არის ის მძიმე შედეგის მომტანი არა მარტო უშუალოდ ძალადობის მსხვერპლისთვის, არამედ საზოგადოების თითოეული წევრისთვის.

ნაშრომის უმთავრესი მიზანია, რომ წარმოაჩინოს ის მანკიერი მხარეები, რაც წლების განმავლობაში გამოიკვეთა ქართულ სამართლის სისტემაში, გამოძიების წარმართვის და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების კუთხით, ოჯახში ძალადობის დანაშაულებთან მიმართებაში. აღნიშნული კვლევის შედეგად წარმოჩინდა შემდეგი, რომ სახელმწიფო აქვს ვალდებულება იმოქმედოს მაქსიმალურად ეფექტურად და მყისიერად, ოჯახში ძალადობის თითოეულ ფაქტთან მიმართებაში აწარმოოს გამოძიება ობიექტურად და განახორციელოს მასზე სისხლისსამართლებრივი დევნა კანონის დაცვით. შედეგად კი თითოეული მოძალადე უნდა დაისაჯოს კანონის სრული სიმკაცრით. ამასთან ძალადობის მსხვერპლს, როგორც საზოგადოება ასევე

სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოები უნდა დაუდგეს გვერდში და შესთავაზოს მას ყველა საჭირო რესურსი.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ნაშრომში, საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად და გადმოსაცემად, არაერთი სამეცნიერო კვლევითი მეთოდი იქნა გამოყენებული, ესენია: ისტორიულ-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, დოქტრინალური, აღწერითი/მიმოხილვითი მეთოდი და შეფასებითი კვლევის მეთოდები.

იმისთვის რომ, სრულფასოვნად წარმოჩენილიყო, ოჯახში ძალადობის დანაშაულებთან მიმართებაში, როგორც გამოძიების ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნის თავისებურებანი, ნაშრომში გამოყენებულია არაერთი სამეცნიერო ლიტერატურა, ასევე განხორციელდა არსებული, როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო კანონმდებლობის სიღრმისეული ანალიზი. ნაშრომის ფარგლებში საუბარია პრაქტიკულ ბუნდოვანებებზე, შედეგად წარმოდგენილია არაერთი სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის საშუალებითაც არსებული ხარვეზები უფრო თვალხილული გახდა მკითხველისთვის.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში წარმოდგენილია, როგორც საქართველოს სახალხო დამცველის, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის კვლევები და ანგარიშები, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას შეაფასდეს ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული მდგომარეობა ოჯახში ძალადობის კუთხით. კვლევაში აგრეთვე შესწავლილი და წარმოჩენილი იქნა კონკრეტული დოკუმენტები, შედეგად მკითხველს ეძლევა შესაძლებლობა დაინახოს კანონმდებლობაში და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები და პრობლემები, რათა შედეგად დასახულ იქნეს ამ გამოწვევათა მოგვარების საუკეთესო გზები.

სამიუბო სიტყვები: ოჯახში ძალადობა, გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა, მსხვერპლი, მოძალადე.

Abstract

Georgia has developed a legal policy against domestic violence over the years. As a result, nowadays, a number of state agencies actively work to protect the life and safety of citizens, especially if there is a case of domestic violence. The latter, it should be mentioned, differs from other crimes because both the perpetrator and the victim are members of the same family.

The aim of this research paper is to present a number of features of domestic violence investigation and prosecution that exist on legislation level and practice in the country. Furthermore, this research paper intends to outline what domestic violence is and why does it have serious consequences not only for the victim of violence, but also for the society.

The main purpose of the paper is to present the vicious sides that have emerged in Georgian legal system over the years in terms of investigation and prosecution of domestic violence crimes. The study reveals that the state is obliged to act as effectively and as promptly as possible, investigate each case of domestic violence objectively, and prosecute it in accordance with the law. As a result, each offender should be punished with the full force of the law. At the same time, the victim of the violence should get all necessary remedies both from the society and appropriate state bodies.

It should be noted that this research has used a number of scientific research methods to show the depth of the issue: historical-legal, doctrinal, descriptive and evaluative research methods.

In order to fully present the peculiarities of both domestic and criminal cases of domestic violence crimes, the paper uses a number of scientific literature, as well as an in-depth analysis of existing local and international legislation. Moreover, this research discusses practical ambiguities, presented in a number of court rulings that have made the existing shortcomings more visible to the reader.

Within the framework of this research, reports of the Public Defender (Ombudsman) of Georgia, as well as the Ministry of Internal Affairs of Georgia and the Prosecution's Office are presented, which provide an opportunity to assess the criminogenic environment in the country in terms of domestic violence. The study also demonstrates and explores specific documents, assisting the reader to see the drawbacks in order to identify the best ways to address the challenges.

Keywords: Domestic violence, investigation, criminal prosecution, victim, perpetrator.

მადლობა

მადლობა სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელს, ბატონ გოგა ხატიაშვილს, გაწეული შრომისთვის და თანადგომისთვის.